ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №311174

ნომერი: AR172403

თარიღი : 12.08.2012

გაცემის თარიღი : 17.08.2012

გაცნობის თარიღი : 20.08.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღმის საცხოვრებელ რაიონში ფარნავაზის ქუჩაზე/ ქალაქი თბილისი , დიდი დიღმის საცხოვრებელ რაიონში , ფარნავაზის ქუჩაზე (ნაკვეთი N2)/ ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , საცხოვრებელ რაიონში ფარნავაზის ქუჩაზე (ნაკვეთი N6)/ ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , ქუჩა ფარნავაზი , ნაკვ.11/059 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სერგეი მელწაიძე პ/ნ 08001004479
- ახმეტა ს. ომალო

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიაჩნია მისასვლელი გზის მოწყობა თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: #01.10.06.011.060) წარმოდგენილი დანართის შესაბამისად, ისე რომ მომიჯნავე მიწის ნაკვეთებიც (საკადასტრო კოდი: ##01.10.06.011.014, 01.10.06.011.012) უზრუნველყოფილი იქნეს მისასვლელი გზით.

დამატებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან გზის გადატანის პროცესში სამუშაოების ნაწილის განხორციელება აუცილებელია დაურეგისტრირებელ, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, საჭიროა თქვენი საკადასტრო ერთეულის ფარგლებს გარეთ სამუშაოების წარმოებაზე ნებართვის მოპოვება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსგან.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.